



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირაციონალიზმი

ირაციონალიზმი (რაციოს) თვითკმარობის პრინციპს უარყოფს. მიუხედავად ამისა, ი. უფრო მეტად მაინც ამა თუ იმ ფილოს. მიმართულებებისა თუ სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე სრულიად დამოუკიდებელ ფილოს. მიმდინარეობას. ი-ის საპირისპირო მიმართულებად რაციონალიზმი განიხილება. ერთმანეთისგან განასხვავებენ შემეცნებით ი-სა და მეტაფიზიკურ ი-ს. პირველის თანახმად, ადამიანის გონებას არ ძალუძს სამყაროს, ობიექტური რეალობისა და მისი კანონზომიერებების ადეკვატური შემეცნება. ამ მიზნით შემეცნებითი ი. ისეთ უნარებს წამოსწევს წინა პლანზე, როგორცაა ინტუიცია, რწმენა, არსების უშუალო ჭვრეტა და ა. შ. მეტაფიზიკური ი-ის ამოსავალი, პოზიციის მიხედვით, სიცოცხლე, ფსიქიკური პროცესები და ისტორია ირაციონალური ბუნებისაა და რაციონალურ კანონებსა და წესებს არ ემორჩილება. მაშასადამე, ი. თავად სინამდვილის არსს წარმოადგენს; ამდენად, ის მეცნიერული (რაციონალური) შემეცნების ობიექტი ვერ გახდება.

ი., როგორც მეცნიერული შემეცნების კატეგორია, ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი, თუმცა თავდაპირველად მას არ ჰქონდა უარყოფითი შეფერილობა და რაციონალიზმის ალტერნატიულ მოდელად განიხილებოდა. მაგ., ი. კანტის „ნივთი თავისთავად“, ა. შოპენჰაუერის „სამყაროს ნება“, ა. ბერგსონის „სიცოცხლის ძალა“ ირაციონალური ბუნებისანი არიან, რადგან რაციონალური შემეცნების მეშვეობით მათი ადეკვატური გაგება ვერ ხერხდება.

თანამედროვე ი-ის ფესვები გერმანულ იდეალიზმშია საძიებელი. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფ. ვ. ი. ფონ შელინგის „გამოცხადების ფილოსოფია“ და მის მიერ „ინტელექტუალური ჭვრეტის“ წინა პლანზე წამოწევა. გერმანული რომანტიზმის

ირაციონალური პოზიციის განსახიერებას წარმოადგენდა. XX ს. მრავალი გავლენიანი ფილოს. მიმდინარეობა (სიცოცხლის ფილოსოფია, ეგზისტენციალიზმი, ნეოთომიზმი, პერსონალიზმი და ა.შ.) ირაციონალური მოტივების სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებდა ყურადღებას. ს. კირკეგორი, ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ა. ბერგსონი და სხვ. ი-ის წარმომადგენლებად ითვლებიან.

ი. განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩნდა XX ს. ქართულ აზროვნებაში. ი-ის ძლიერი ზეგავლენა იგრძნობა გ. რობაქიძის, ა. ჯორჯაძის, შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძის, კ. გამსახურდიას, კ. კაპანელის და სხვათა შემოქმედებაზე. გარდა ამისა, ი-ის სხვადასხვა ასპექტებს იკვლევდნენ XX ს. II ნახ-ის ქართველი მეცნიერები, რ-ებიც დასავლური ი-ის ზემოთ დასახელებულ წარმომადგენელთა ნააზრევს განიხილავდნენ. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: კ. ბაქრაძე, თ. ბუაჩიძე, ზ. კაკაბაძე, ა. ბოჭორიშვილი, გ. ცინცაძე, გ. თევზაძე და სხვ. გ. თევზაძის მეტად მოხდენილი და მართებული შეფასების თანახმად, ი. აღქმული უნდა იქნეს გონების მიერ საკუთარი თავის კრიტიკად, ანუ თვითკრიტიკად.

ლიტ.: ბ უ ა ჩ ი ძ ე თ., ფილოსოფიური ნარკვევები, ტ. 1, თბ., 2003; დ ა ნ ე ლ ი ა დ., ირაციონალისტური ფილოსოფია და მოდერნიზმი, თბ., 1993; თ ე ვ ზ ა ძ ე გ., ირაციონალიზმი, როგორც გონების მიერ საკუთარი თავის კრიტიკა (თვითკრიტიკა), კრ.: ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ფილოსოფიაში, რედ. თ. ირემაძე, თბ., 2010; ი რ ე მ ა ძ ე თ., ფრიდრიხ ნიცშე, თბ., 2006.

თ. ირემაძე
